**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების შედეგების წლიური ანგარიშგება გამოიყენება უნივერსიტეტის სწავლა/სწავლების, კვლევითი საქმიანობისა და ორგანიზაციული დონის შესაფასებლად.**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს მიღებული შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს(ფაკულტეტს). საბოლოო ანგარიში შემდგომი რეაგირების მიზნით განიხილება ფაკულტეტების საბჭოებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიწოდებული რეკომენდაციების უმრავლესობა აისახება უნივერსიტეტის საქმიანობაში სხვადასხვა მიმართულებით:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების შედეგების და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით გადამუშავებული და განახლებული იქნა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა ( სტრატეგიული სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული 2017 წელს);

ჩატარდა სპეციალური ტრენინგ კურსი აკადემიური პერსონალისთვის სწავლების და შეფასების სტრატეგიებში და სადოქტორო განათლების თანამედროვე გამოწვევების შესახებ.

დოქტორანტურის პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით განხორციელდა ხელშეკერულებების გაფორმება უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცენტრებთან.

მიმდინარეობს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება და სამეცნიერო საინფორმაციო ბაზების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციაზე ადმინისტრაციის მხრიდან სწრაფი რეაგირება.

აკადემიური პერსონალის მხრიდან მიმდინარეობდა და გრძელდება სხვადასხვა რეკომენდაციების მიწოდება და რეაგირების მონიტორინგი.